# არასრულწლოვნის პირველი კონტაქტი პოლიციასთან, არსებული გამოწვევები

თამარ აბულაძე

თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სტუდენტი

2018 წელი

## შესავალი

გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის ადმინისტრაციის შესახებ უთითებს, რომ მართლმსაჯულების სისტემა არასრულწლოვანთა მიმართ, პირველ რიგში, მიმართული უნდა იყოს არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ და ამასთან, არასრულწლოვან სამართალდამრღვევზე ზემოქმედება უნდა ხორციელდებოდეს როგორც სამართალდამრღვევი პიროვნების, ისე სამართალდარღვევის თანაზომიერად.[1] მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელს, ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოში მიღებულ იქნა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, ასევე, ცვლილებები განხორციელდა ცალკეულ კანონებში და გაიწერა კონკრეტული წესები სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეების, მათ შორის, სამართალდამცავების არასრულწლოვანთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, ადგილობრივი კვლევები, ანგარიშები და ამ სფეროში არსებული პრაქტიკა ცხადყოფს, რომ არსებული კანონმდებლობა სრულად ვერ უზრუნველყოფს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესების დაცვას.

სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალურ ანგარიშში, არასრულწლოვნების სისხლის სამართლის მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით,[2] აღნიშნულია, რომ პოლიციასთან ურთიერთობის პროცესში პრობლემურია მოწმის სტატუსის მქონე არასრულწლოვანი სავალდებულო დაცვის საკითხი. ასევე, ყურადღება არის გამახვილებული ბავშვთან არაფორმალური „გასაუბრების“ დროს არასრულწლოვანის ინტერესების შელახვის რისკზე, ისევე როგორც „გასაუბრების“ დროს ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის საფრთხეებზე. ამ და სხვა ანგარიშებში, ასევე, საუბარია არასრულწლოვანის დაკავების დროს არსებულ პრობლემებზე და სამართალდამცავების მიერ, არასრულწლოვანის გამოკითხვის/დაკითხვის პროცესში არსებულ საკანონმდებლო ხარვეზებზეც. კერძოდ, კანონმდებლობაში არარსებულ დანაწესზე, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა არასრულწლოვანის დაკითხვის დროის ხანგრძლივობა.[3] საუბარია არასრულწლოვანთან სპეციალიზებული სამართალდამცავის ურთიერთობის აუცილებლობაზე, „გასაუბრების“ დროს კანონიერი წარმომადგენლის ან ფსიქოლოგის დასწრებაზე[4] და კანონმდებლობის ხარვეზზე, რომლითაც განსაზღვრული არაა, თუ ვინაა უფლებამოსილი არასრულწლოვანის დაკითხვა/გამოკითხვის დროს მოიწვიოს ფსიქოლოგი.[5]

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, მიმოიხილოს არასრულწლოვანის უფლებები და პოლიციის ვალდებულებები, ამ უკანასკნელის მიერ,

---

[1] გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წლის 29 ნოემბერის მიღებული გაეროს მინიმალური სტანდარტული წესების (A/RES/40/33, შემდგომში "პეკინის წესები") მე-5 მუხლი.

[2] ქელბაქიანი ა., ცაგარელი ნ., ტურაზაშვილი, სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალური ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში"

[3] გოგინაშვილი ნ., „არასრულწლოვანის დაკითხვის თავისებურება", სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტი, 2017, 23

[4] ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., „ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში", ბესარიონ ბოხაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ირაკლი ყანდაშვილი, 2016, 59.

[5] იხ. შენიშვნა 2

არასრულწლოვანის მიმართ, ძირითადი საპოლიციო ღონისძიებების და სისხლისსამართლებრივი პროცედურების განხორციელების პროცესში.

**არასრულწლოვანის გამოკითხვა, იდენტიფიკაცია, შემოწმება და დათვალიერება**

არასრულწლოვნის პირველი კონტაქტი პოლიციასთან, ამ უკანასკნელის მიერ, ბავშვთან კომუნიკაციით იწყება. აღნიშნულ პროცესში, არასრულწლოვანის მიმართ შესაძლოა არსებობდეს ეჭვი, რომ მან ჩაიდინა დანაშაული, ინფორმირებულია დანაშაულის გარემოებებთან დაკავშირებით, ან იცის სხვა, საპოლიციო ფუნქციების განხორციელებისთვის საჭირო ინფორმაცია.

„პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის, ისევე, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, გამოკითხვა ნებაყოფლობითია და მაშინ, როცა საქმე 14 წლამდე ასაკის პირს ეხება, პოლიციამ იგი უნდა გამოკითხოს მხოლოდ მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.[6] რაც შეეხება 14 წელს ზემოთ, არასრულწლოვანთა უფლებრივ მდგომარეობას, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს გამოკითხვის პროცესში ზემოაღნიშნული პირების ჩართვას, თუმცა აღნიშნული არ ვრცელდება არასრულწლოვანთან არაფორმალური „გასაუბრების" ეტაპზე. სახალხო დამცველისა და ორგანიზაციის „ინიციატივა მოწყვლადი ჯგუფების რეაბილიტაციისათვის" ერთობლივ კვლევაში აღნიშნულია, რომ ამგვარი მიდგომით იქმნება არასრულწლოვანზე ზეწოლის საფრთხე დანაშაულის აღიარების მიღების მიზნით, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ „სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს კანონით აეკრძალოთ კომუნიკაცია 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან მოწმესთან კანონიერი/საპროცესო წარმომადგენლისა და დამცველის დასწრების გარეშე, გარდა უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული საფუძვლებისა, რაც წინასწარ უნდა იყოს განსაზღვრული საკანონმდებლო დონეზე."[7]

აქვე, გამოკითხვის პროცესში მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის უფლება ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით. საქართველოს მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს, არასრულწლოვანი მოწმის გამოკითხვისას, ამ უკანასკნელის მიერ, სახელმწიფო სავალდებულო დაცვის უფლებით სარგებლობას, თუმცა, აუცილებელია, რომ არასრულწლოვანი იყოს გადახდისუუნარო.[8] სახალხო დამცველის 2016 წლის სპეციალურ ანგარიშში აღნიშნული მიდგომა შეფასდა პრობლემად და გაიცა რეკომენდაცია, რომ კანონმდებლობით განისაზღვროს 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ვალდებულება საკანონმდებლო დონეზე.[9] ანგარიშში აღნიშნულია, რომ არასრულწლოვანის დაცვის უფლება არ უნდა იყოს დამოკიდებული მის ფინანსურ

---

[6] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილი, №1444-Iს, სსმ 28/10/2013; ასევე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 52-ე მუხლის მე-4 ნაწილი, №3708-IIს, სსმ 24/06/2015.

[7] სახალხო დამცველის წლის სპეციალური ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში" 2016, 23.

[8] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-15 და 23-ე მუხლის პირველი ნაწილი, №3708-IIს, სსმ 24/06/2015

[9] სახალხო დამცველის წლის სპეციალური ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში" 2016, 19-23

მდგომარეობაზე,[10] რასაც სრულად იზიარებს ადგილობრივი კვლევაც „ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში“.[11]

ევროსასამართლომ საქმეში „სალდუზი თურქეთის წინააღმდეგ“ სწორედ იმის გამო დაადგინა სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა, რომ 17 წლის განმცხადებელს პოლიციის განყოფილებაში მოთავსებიდან 5 დღის განმავლობაში არ ქონდა წვდომა ადვოკატზე.[12] სასამართლომ აღნიშნა: იმისათვის, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება საკმარისად „პრაქტიკული და ეფექტური“ დარჩეს, ადვოკატის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ეჭვმიტანილის პოლიციის მიერ პირველი გამოკითხვის მომენტიდანვე.[13]

რაც შეეხება უშუალოდ, გამოკითხვის პროცესს, გაეროს ბავშვთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარის თანახმად, ზოგჯერ ბავშმა გამომკითხველის სპეციფიკური ენა არ იცის და იგი სრულად ვერ აღიქვამს მის ნათქვამს ... ცოდნის, გონებრივი განვითარების თუ გამოცდილების ნაკლებობამ კი, შესაძლებელია გამოიწვიოს კითხვის არასრულყოფილად გაგება და ასევე, არასწორი პასუხის მიღება, რა დროსაც, აუცილებელია პროცესში თარჯიმანისა და ფსიქოლოგის მონაწილეობა.[14] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპებშიც აღნიშნულია, რომ პოლიციამ ნებისმიერი საპოლიციო მოქმედების განხორციელებისას, უნდა გაითვალისწინოს ბავშვის მოწყვლადობა, მხედველობაში უნდა მიიღოს მისი ასაკი და ნებისმიერი სპეციალური საჭიროება, რაც შეიძლება ქმნიდეს მასთან კომუნიკაციაში სირთულეებს.[15] გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ გამოკითხვა ჩატარდეს შესაბამისი გადამზადების მქონე პიოლიციელის მიერ.[16] მართლმსაჯულების კოდექსით აღნიშნული საკითხის რეგულირებას მე-3 თავი ეთმობა.

გამოკითხვის პროცესში აგრეთვე მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთან საუბრის ხანგრძლივობის განსაზღვრაც. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, დაკითხვა არ შეიძლება ჩატარდეს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე, თუმცა არაფერია ნათქვამი გამოკითხვა/დაკითვის დროის ხანგრძლივობაზე, რაც პრობლემურია.[17] ფსიქოლოგთა რეკომენდაციით, დაკითხვის ხანგრძლივობა მნიშვნელოვანია გამომდინარეობდეს დასაკითხის ასაკიდან, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ პირდაპირ იყოს მითითება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში.[18] გარდა ამისა, არასრულწლოვანი გამოკითხვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს

---

[10] სახალხო დამცველის წლის სპეციალური ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ 2016, 22

[11] ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., „ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში“, ბესარიონ ბოხაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ირაკლი ყანდაშვილი, 2016, 63.

[12] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Salduz v. Turkey“ No. 36391/02

[13] Salduz v. Turkey, No. 36391/02, პარ.: 55.

[14] გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ.

[15] Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, 25, პარ. 27.

[16] იხ. შენიშვნა 14.

[17] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-52-ე მუხლის მე-6 ნაწილი, №3708-IIს, სსმ 24/06/2015

[18] არასრულწლოვანთა დაკითხვის/გამოკითხვის ფსიქოლოგიური ასპექტები, ავტ. კოლექტივი, შსს აკადემია, 2016, 74.

სათანადო საკვებით და სასმელით, ისევე, როგორც, რეგულარულად უნდა მიუწვდებოდეს ხელი სადღეღამისო და საპირფარეშო საშუალებებზე.[19]

უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვასთან ერთად, პოლიცია თავისი საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილია განახორციელოს არასრულწლოვანის იდენტიფიკაცია, შემოწმება, დათვალიერება, გადაადგილების შეზღუდვა და სხვა ისეთი ღონისძიებები, რომელიც აუცილებელია საპოლიციო საქმიანობის შესასრულებლად.[20] იდენტიფიკაციის პროცესში, პოლიციელი უფლებამოსილია აუღოს არასრულწლოვანს თითისა და ხელისგულის ანაბეჭდები, გადაუღოს ფოტოსურათი, დააფიქსიროს დამახასიათებელი ფიზიკური ნიშნები, გაზომოს სიმაღლე და სხვა.[21] ბავშვის შემოწმების ეტაპზე, პოლიცია უფლებამოისილია შეაჩეროს იგი და ტანსაცმლის მხოლოდ გარე ზედაპირზე, ხელით, სპეციალური ხელსაწყოთი ან საშუალებით შეეხოს შემოწმების მიზნით.[22] „პოლიციის შესახებ" კანონი ითვალისწინებს ასევე სამართალდამცავის მხრიდან, პირის ჩხრეკის განხორციელებასაც იმ შემთხვევისთვის, თუ ზედაპირული შემოწმების დროს წარმოიშობა აღნიშნულის საფუძველი.[23] ჩხრეკის პროცესში, მნიშვნელოვანია, რომ დაცული იყოს არასრულწლოვანის ღირსება და პირადი უფლებები. ასეთ დროს, ბავშვთან კონტაქტი ძირითადად უნდა ქონდეს იმავე სქესის წარმომადგენელ სამართალდამცავს, რა სქესის წარმომადგენელიც არასრულწლოვანია.[24] ასევე, ბავშვს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია პოლიციელის მხრიდან იმის შესახებ, თუ რის გამო და რის საფუძველზე ხდება მისი შემოწმება ან/და ჩხრეკა. [25]

**არასრულწლოვანის დაკავება**

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, არასრულწლოვანის დაკავება შესაძლებელია უკიდურეს შემთხვევებში.[26] აკრძალულია ამ პროცესში ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენება გარდა იმ შემთხვევისა, როცა ბავშვი ზიანს აყენებს საკუთარ თავს ან სხვებს.[27] საქმეში „ოკალი თურქეთის წინააღმდეგ", სადაც დადგინდა 12 წლის ბიჭის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტი პოლიციის მიერ მისი დაკავების დროს, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ არასრულწლოვნები არიან მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები და ისინი უნდა იყვნენ ჩვეულებრივზე უფრო დაცულები მართლმსაჯულების განხორიცელებისას.[28] აღსანიშნავია, რომ

---

[19] Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, UNITED NATIONS New York, 2013, 88

[20] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლი, №1444-Iს, სსმ 28/10/2013;

[21] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლი, №1444-Iს, სსმ 28/10/2013;

[22] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი ნაწილი, №1444-Iს, სსმ 28/10/2013

[23] „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-10 ნაწილი, №1444-Iს, სსმ 28/10/2013;

[24] Justice in Matters Involving Children in Conflict with the Law, UNITED NATIONS New York, 2013, 89

[25] იქვე.

[26] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილი, №3708-IIს, სსმ 24/06/2015

[27] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 34-ე მუხლი. №3708-IIს, სსმ 24/06/2015.
იგივე მიდგომას იზიარებს გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ.

[28] ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე „Okkali v. Turkey, No. 52067/99, პარ. 69.

დაკავებისთანავე, სამართალდამცავი ვალდებულია მიიღოს ყველა საჭირო ზომა, არასრულწლოვანის მშობელთან, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სხვა ახლო ნათესავთან ან/და არასრულწლოვნის მიერ მითითებულ სხვა პირთან დასაკავშირებლად.[29] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპების დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, ბავშვის მშობლები დაუყოვნებლივ უნდა იქნან ინფორმირებული ბავშვის პოლიციის განყოფილებაში მოთავსების შესახებ. მათ ასევე უნდა ეცნობოთ დაკავების მიზეზი და უნდა თხოვონ, რომ დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ განყოფილებაში.[30]

არასრულწლოვანი არ უნდა გამოიკითხოს და არ უნდა მოეთხოვოს მას რაიმე განცხადებაზე ხელის მოწერა მანამ, სანამ ამ პროცესს არ დაესწრება ზემოაღნიშნული პირები. მშობლის არ დასწრების გამონაკლის შემთხვევასთან მიმართებით, უნდა ითქვას, რომ ესაა შემთხვევა, როცა თავად მშობელია ეჭვმიტანილი დანაშაულის ჩადენაში ან იგი ახორციელებს მართლმსაჯულებასთან შეუფერებელ ქცევას.[31] ასეთ შემთხვევაში მისი დასწრება გამოკითხვის/დაკითხვის დროს არ მოხდება.

მიუხედავად ზემოთხსენებული დანაწესისა, კვლევაში „ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში" აღნიშნულია, რომ პრაქტიკაში მშობლებთა დაუყოვნებელი ინფორმირება არასრულწლოვანის დაკავებასთან დაკავშირებით არ ხორციელდება და სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშშიცაა საუბარი იმაზე, რომ მათ მოსვლამდე ხდება არასრულწლოვანთან კონტაქტის დამყარება, რაც ხშირ შემთხვევაში არღვევს არასრულწლოვანის ინტერესებს.[32] შესაბამისად, მნიშვნელოვანია ზემოთხსენებული ვალდებულების პრაქტიკაში განხორციელება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პოლიციელი, რომელმაც დააკავა არასრულწლოვანი, ვალდებულია დაუკავშირდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ბავშვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და მისი პოლიციის განყოფილებაში მოსვლის თხოვნის მიზნით მაშინ, როცა ვერ ხერხდება არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება.[33]

საქართველოს მართლმსაჯულების კოდექსი არ ითვალისწინებს უშუალოდ არასრულწლოვნების ინფორმირების ვალდებულებას დაკავების მიზეზებთან დაკავშირებით, თუმცა ევროსაბჭოს მიერ განსაზღვრულია, რომ ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზი.[34] ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ პოლიციამ ბავშვი არ დააკავოს ზრდასრულებთან ერთად[35] და ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს პოლიციის მიერ დაკავებული ბავშვების უსაფრთხო და მათ საჭიროებებზე მორგებულ გარემოში მოთავსების შესაძლებლობა.[36] (აღნიშნულში მოიაზრება არა მხოლოდ ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილების საშუალებებით არასრულწლოვანის

[29] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილი. №3708-IIს, სსმ 24/06/2015.
[30] Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, 26, პარ. 29.
[31] Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, პარ. 30.
[32] იხ.: ბოხაშვილი ბ., მშვენიერაძე გ., ყანდაშვილი ი., „ეჭვმიტანილთა საპროცესო უფლებები საქართველოში", ბესარიონ ბოხაშვილი, გიორგი მშვენიერაძე, ირაკლი ყანდაშვილი, 2016, 91.
[33] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 49-ე მუხლის მე-3 ნაწილი. №3708-IIს, სსმ 24/06/2015.
[34] Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, პარ. 28.
[35] Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, პარ. 31.
[36] Guidelines of the Committee of Ministers of the Council of Europe on child-friendly justice, 2010, პარ. 32

უზრუნველყოფა, არამედ, ბავშვებისთვის შესაბამისი დროის მიცემა მათ კანონიერ წარმომადგენელთან გასატარებლად, იურისტისგან კონსულტაციის მისაღებად და იმ ვითარების არსში გასარკვევად, რომელშიც ისინი აღმოჩნდნენ, მისი ასაკისა და გონებრივი განვითარების შესაბამისად.[37])

**დასკვნა**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არასრულწლოვანის პოლიციასთან კონტაქტის პროცესში წარმოშობილი პრობლემების გადაწყვეტა საჭიროებს როგორც ცალკეულ, ზემოთხსენებულ საკანონმდებლო ცვლილებას, ასევე დამკვიდრებული პრაქტიკის შეცვლას არაფორმალური „გასაუბრების“ და მშობლებისთვის ბავშვის დაკავების შესახებ ინფორმაციის მიწოდების დაყოვნების ნაწილში. არასრულწლოვანს პოლიციასთან ურთიერთობის პროცესში აქვს უფლება იცოდეს მისი გამოკითხვის, შემოწმების, ჩხრეკის თუ დაკავების მიზეზის შესახებ. ბავშვს აქვს უფლება პოლიციასთან კომუნიკაციის პროცესში მშობლების, მეურვის ან სხვა, მისი ნდობით აღჭურვილი პირის დასწრებაზე. სამართალდამცველებთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე, არასრულწლოვანს აქვს ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის უფლებაც და უფლება, რომ ყავდეს ფსიქოლოგი. პოლიცია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უდიდესი როლის მატარებელი ორგანოა, შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მოწესრიგება სწორედ ამ უკანასკნელის პოლიციასთან ურთიერთობის მომენტიდან დაიწყოს. ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენლები არიან და მნიშვნელოვანია, რომ სამართალწარმოება მათ საჭიროებებზე მორგებულად, ბავშვების დაცვის, რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის და მათი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით მიმდინარეობდეს.

[37] სახალხო დამცველის წლის სპეციალური ანგარიში „არასრულწლოვანი ბრალდებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“ 2016, 42.